

**შპს “ვისტა დეველოპმენტი“-ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების
ახსნა-განმარტება**

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს “ვისტა დეველოპმენტი“-ს რეგისტრაცია გავლილი აქვს 14/06/2021

მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 405467123

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 14/06/2021

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

რეზო სუჯაშვილი, 01008005575 - 25%

ხათუნა ჭიპაშვილი, 01008004046 - 67%

ნათელა სუჯაშვილი, 01008009334 - 8 %

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქუჩა, N 77

ფაქტიური მისამართი: : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქუჩა, N 77

საზოგადოების დირექტორია: რეზო სუჯაშვილი,

ორგანიზაციის საქმიანობის სახეა: სხვადასხვა სამშენებლო სამონტაჟო
სამუშაოები

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძველები

შპს “ვისტა დეველოპმენტი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ასევე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „იბერ-ინფო“ (ლოკალური ვერსია)

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

2.3 საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას.

2.4 შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული მესაკუთრის მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან.

2.5 ხარჯი

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე.

2.6 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან აღიარება ხდება, როგორც ავანსად შემოსული თანხებიდან ასევე მყიდველისთვის მომსახურების გაწევის და საკუთრების უფლების გადაცემისთანავე.

2.7 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა აღიარდება:

შპს “ვისტა დეველოპმენტი“-ს ძირითადი აქტივების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულება, რომელიც

შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

საწარმოს შერჩეული აქვს ცვეთის გაანგარიშების მეთოდი - ცვეთის დარიცხვა ხდება საგადასახადო მეთოდით, ანუ ნარჩენი ღირებულების მეთოდით შესაბამისი ჯგუფის და ცვეთის კოეფიციენტით.

წინა წლის ნარჩენი ღირებულების და მიმდინარე წლის ნარჩენი ღირებულების საშუალო ღირებულებით და შესაბამისი კოეფიციენტით გაიანგარიშება ქონების გადასახადი.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით მისი ნასყიდობის ფასის, ნებისმიერი დანახარჯის, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია შეძენასთან და ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე. ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით „MIDL“-ით და ყოველდღიურად მყისიერად აისახება საბუღალტრო პროგრამაში

2.9 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.10 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, და სხვა სარგებელი ანაზღაურდება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

2.12 გადასახადები

ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია გადასახადებს იხდის დროულად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაფიქსირებული გადასახადის გადახდა ხდება მომავალი თვის დადგენილ ვადაში,

3. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

3.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

3.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები


კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.3 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

შპს “ვისტა დეველოპმენტი“-ს დირექტორი

რეზო სუჯაშვილი,



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2024 31/12/2023 31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	407244	280617	576400
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155835	1272243	1030505
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულ	0	0	0
მარაგები	2277877	4584264	2056466
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	2277877	4584264	2056466
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	27205	18890	22283
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2868161	6156014	3685654


ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	569263	1097121	1019771
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	386
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	619294	1022729	665994
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	47447	362013	27653
სულ ვალდებულებები	1236004	2481863	1713804

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოე	1145945	1505050	621950
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	486212	2169101	1349900
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1632157	3674151	1971850
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2868161	6156014	3685654
სულ მოკლევადიანი აქტივები	2868161	6156014	3685654
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

დირექტორი




რ. სუჯაშვილი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3038767	669206
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3036363	565445
სხვა	2404	103761
გაყიდვების თვითღირებულება	-4555755	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	-1516988	669206
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-327727	-85778
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-4631	-4722
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-8857	-12574
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1329736	-62674
სულ საოპერაციო ხარჯები	-1670951	-165748
საოპერაციო მოგება	-3187939	503458
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / ად	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრ	-3187939	503458
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3187939	503458
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმო	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3187939	503458
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი	3674151	1971850
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1145945	1198843
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1632157	3674151
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

დირექტორი



რ. სუჯაშვილი


ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2024 31/12/2023

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2395527	2076825
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2268900	-2372608
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	126627	-295783
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	280617	576400
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	407244	280617

დირექტორი



რ. სუჯაშვილი